პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

12 დეკემბერი, შაბათი, 1987 წ. № 24 (3026) 12 ДЕКАБРЯ, СУББОТА, 1987 г. ◆ ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.

## მიმდინარე წელი, მომავალი წარმატების საწინდარი უნდა იყოს!

დასასრულს უახლოვდება მიმდინარე წელი, ისევე როგორც ყველა, შინაგან საქმეთა ორგანოებიც პარტიის სტრატეგიული კურსის პრიზმაში აანალიზებენ და აფასებენ თავიანთ საქმიანობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXVII ყრილობამ გვაიძულა ახლებურად შეგვეხედა მრავალი პრობლემისათვის.

ახლა თითოეული ჩვენგანი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების უმნიშვნელოვანეს საქმეში. სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება, ინერციის, კონსერვატიზმის, ბიუროკრატიზმის გადალახვა — აი რა არის პარტიის ერთ-ერთი სტრატეგიული ხაზი.

საჯაროობის და დემოკრატიის გაფართოების პირობებში უფრო მეტი მოთხოვნები აქვს წაყენებული შინაგან საქმეთა ორგანოებსაც. წავიდა დრო, როდესაც კრიტიკისგან ეს ორგანოების საქმიანობა დაცული იყო, პარადულ, საჩვენებელ ხასიათს ატარებდა, მოსახლეობასთან კავშირი ფორმალურად თუ არსებობდა. პოზიტიური ძვრები უკვე დაიწყო, რა შედეგებს მივაღწევთ წელს, ამას წლის შედეგების შეჯამება გვიჩვენებს.

რა თქმა უნდა, ეს ორგანოების მუშაობის რადიკალურად გარდაქმნა რთული და მრავალმხრივი პროცესია, მაგრამ თითოეულმა წელმა საფუძველი უნდა ჩაუყაროს მომდევნოს.

საკავშირო მასშტაბით წლევანდელ წელს იკლებს დანაშაულობების მაჩვენებელი, მათ შორის მძიმე სახის. შემცირდა პიროვნების ხელყოფის, ქურდობის და ძარცვის შემთხვევები.

გარკვეული ძვრები შეიმჩნევა ჩვენი რესპუბლიკის ეს ორგანოების მუშაობის წლევანდელი თერთმეტი თვის შედეგების შეჯამებისას.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთლიანობაში წლის დასაწყისში დაწყებული დანაშაულებათა კლების ტენდენცია სტაბილურია. მისი სტრუქტურა და დინამიკა ასე გამოიყურება: ყველა სახის დანაშაულობები შემცირდა 8,0 პროცენტით, მათ შორის მძიმე სახის 6,0 პროცენტით. სისხლისსამართლის სამძებროს ხაზით 6,7 პროცენტით. მათ შორის 11,5 პროცენტით შემცირდა ამ კატეგორიის მძიმე სახის დანაშაულობები.

შემცირებულია მკვლელობის, გაუპატიურების მცდელობები, სახელმწიფო ქონების ქურდობა, ბანდიტური თავდასხმები სახელმწიფო ქონების დახატაცებლად, ხულიგნობა, ავტოავარიები სასიკვდილო შედეგებით.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ შემაშფოთებელია განზრახ მკვლელობის ფაქტების, სხეულის მძიმე დაზიანების, გაუპატიურების ზრდა. ოდნავ მოიმატა კერძო ქონების ქურდობისა და ავტოტრანსპორტის გატაცების შემთხვევებმა.

ეს ორგანოების წინაშე დასმულია უმნიშვნელოვანესი ამოცანა ქვეყნის ეკონომიკის დაცვის სფეროში — არაშრომითი შემოსავლის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა. სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის ხაზით დანაშაულებათა გამოვლინების ზრდის ტენდენცია კვლავაა და იგი ამ თერთმეტ თვეში 0,6 პროცენტით გაიზარდა. გამოვლინდნენ უფრო მეტი სავალუტო ოპერაციის მაქინატორები, სპეკულანტები და სხვა. თუმცა ეს ორგანოების მუშაობის გააქტიურებაზე მეტყველებს მაგრამ, პოზიტიური ძვრა ყველგან სათანადოდ არ მიმდინარეობს. ამის დადასტურებაა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული ოპერატიული ვითარება. მდგომარეობა გამოსწორებას მოითხოვს. და თუ სადმე წარმატებას მივაღწევთ, თვითდამშვიდებას არავინ არ უნდა მიეცეს. ეს წელი, წინაპირობა უნდა გახდეს მომავალ წელს კარგი შედეგებისა, რასაც ითხოვს ჩვენგან პარტია, ყველა საბჭოთა მშრომელი, განსაკუთრებით კი დღეს, გარდაქმნის პერიოდში. კვლავ უნდა დაიხვეწოს მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, გამოიძებნოს საზოგადოებასთან უფრო ეფექტური კავშირის საშუალებები, სრულყოფილადაა გამოსაყენებელი არსებული რეზერვები. ჩვენი საქმიანობა დღითიდღე უნდა სრულვყოთ, შემოქმედებითად, მობილიზებულად, პასუხისმგებლობის სრული შეგნებით გადავწყვიტოთ არსებული უცვლელი ამოცანა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე: საბჭოთა კანონების მთელი ძალით გამოყენება დამნაშავეობისა და სხვა სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა ადამიანები ყოველ დასახლებულ პუნქტში გრძნობდნენ სახელმწიფოს ზრუნვას მათი სიმშვიდისა და ხელშეუხებლობისათვის, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვერცერთი სამართალდამრღვევი ვერ წაუვა საკადრის სასჯელს.



## ОФИЦИАЛЬНАЯ ИНФОРМАЦИЯ

Генеральный секретарь ЦК КПСС М. С. Горбачев 7 декабря отбыл из Москвы в Соединенные Штаты Америки с официальным визитом.

БРАЙЗ—НОРТОН, 7 декабря. Во время остановки в Великобритании по пути в Вашингтон состоялась беседа между М. С. Горбачевым и Премьер-Министром Великобритании М. Тэтчер.

По завершении переговоров М. С. Горбачев и М. Тэтчер сделали заявления для печати.

ВАШИНГТОН, 8 декабря. Генеральный секретарь ЦК КПСС М. С. Горбачев прибыл 7 декабря с официальным визитом в столицу США.

У трапа самолета в аэропорту Эндрюс, где были подняты государственные флаги СССР и США, М. С. Горбачева и его супругу приветствовали государственный секретарь США Дж. Шульц с супругой, другие представители Белого дома и государственного департамента.

Генеральный секретарь ЦК КПСС выступил с кратким заявлением для прессы.

8 декабря в Белом доме состоялась торжественная церемония подписания советско-американского Договора о ликвидации двух классов ядерного оружия — ракет средней и меньшей дальности, который скрепили своими подписями Генеральный секретарь ЦК КПСС М. С. Горбачев и Президент США Р. Рейган.

После подписания договора в Овальном зале Белого дома состоялась беседа М. С. Горбачева и Р. Рейгана.

ВАШИНГТОН, 9 декабря. Сегодня в честь М. С. Горбачева государственный секретарь США Дж. Шульц дал в госдепартаменте завтрак.

К присутствующим с речью обратился Дж. Шульц.

С ответной речью выступил Генеральный секретарь ЦК КПСС.

ВАШИНГТОН, 9 декабря. Сегодня здесь состоялась встреча М. С. Горбачева с лидерами конгресса США. В ней приняли участие Дж. Райт, Т. Фоли, Р. Майкл, Т. Куэло, Т. Лотт, Р. Бэрд, Р. Доул, А. Крэнстон, А. Симпсон.

ВАШИНГТОН, 9 декабря. В советском посольстве состоялась встреча М. С. Горбачева с представителями американской общественности.

В зале находились видные общественные деятели США, крупные представители науки, культуры, искусства, люди, которые уже давно играют заметную роль в жизни страны, оказывают влияние на формирование и политики, и общественных настроений.

На встрече выступил М. С. Горбачев.

В советском посольстве 9 декабря состоялась беседа Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачева с руководителями ведущих средств массовой информации США.

На встрече выступил Генеральный секретарь ЦК КПСС.

ВАШИНГТОН, 9 декабря. Генеральный секретарь ЦК КПСС М. С. Горбачев дал в среду в советском посольстве обед в честь Президента США Р. Рейгана.

С речью выступил М. С. Горбачев.

С ответной речью выступил Р. Рейган.

10 декабря завершился официальный визит в Вашингтон Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачева.

(ТАСС).

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

7 декабря состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел Грузинской ССР генерал-майор внутренней службы Ш. Горгодзе. С информацией об оперативной обстановке в республике за 11 месяцев и первую неделю декабря 1987 года на оперативном совещании выступил начальник оргинспекторского отдела МВД ГССР подполковник милиции К. Буджиашвили.

Присутствовавшие на совещании руководящие работники министерства заслушали информации начальника Управления охраны общественного порядка МВД ГССР полковника милиции Г. Бичашвили о работе органов и подразделений внутренних дел республики по выполнению постановления ЦК КПСС, Совета Министров СССР «О мерах по преодолению пьянства и алкоголизма, искоренению самогоноварения» и начальника следственного управления МВД ГССР полковника внутренней службы М. Джапаридзе о деятельности следственных аппаратов МВД ГССР за 9 месяцев 1987 года в сопоставлении со среднесоюзными показателями, изложенными в аналитической справке МВД СССР.

В ходе оперативного совещания был заслушан отчет начальника Руставского ГОВД полковника милиции Б. Рухадзе о проделанной работе по организации деятельности общественных пунктов охраны порядка г. Рустави и рассмотрены вопросы готовности органов и подразделений внутренних дел к охране общественного порядка при проведении футбольного матча между командами «Вердер» (Бремен) и «Динамо» (Тбилиси).



# ПРОВЕДЕНА НАУЧНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ

27 ноября кафедра уголовного права, процесса и криминологии Тбилисского факультета Московской высшей школы милиции МВД СССР провела научную конференцию.

Конференцию вступительным словом открыл начальник кафедры, кандидат юридических наук, полковник милиции А. Квашилава. С докладом на тему «Великая Октябрьская социалистическая революция, советское социалистическое право и законность» выступил старший преподаватель кафедры, майор милиции Б. Салуквадзе. Он обратил внимание слушателей на принципиально новый подход к законотворчеству, разработанный Советским правительством под руководством В. И. Ленина с первых же дней Советской власти.

С докладами выступили слушатели факультета Дарибегов, Гегечкори, Клдиашвили, Читашвили. В работе конференции приняли участие преподаватели кафедры — подполковник милиции В. Бунтури, майоры милиции Т. Долаберидзе, Г. Глонти, инспекторы учебного отдела — старшие лейтенанты милиции А. Чиплиев, П. Ростиашвили.



НА СНИМКАХ: итоги конференции подводит начальник кафедры полковник милиции А. Квашилава.

Б. МОИСЦРАПИШВИЛИ,
П. ФЕДОТОВ,
слушатели I курса ТФМВШМ МВД СССР.

Фото Г. Шенгелия.

# СОВЕТСКАЯ МИЛИЦИЯ

Вышел в свет одиннадцатый в нынешнем году номер журнала «Советская милиция», который открывается статьей министра внутренних дел СССР генерал-лейтенанта А. В. Власова «По пути Октября — курсом перестройки». В номере публикуются поздравления по случаю 70-летия Великого Октября и 70-летия советской милиции члена ЦК СЕПГ, министра внутренних дел ГДР, начальника Немецкой народной полиции генерала армии Ф. Диккеля, начальника управления МВД ВНР полковника милиции М. Вари.

Несомненный интерес для читателей представляют исторический очерк «Рожденная революцией» — о неразрывно связанной с именем вождя революции В. И. Ленина истории становления советской милиции и четыре подборки фотодокументов, объединенные общей рубрикой «Это наша с тобой биография».

Под рубрикой «Партийная жизнь» в номере публикуется материал, рассказывающий об обсуждении коммунистами ряда главков МВД СССР на совместном партийном собрании острых проблем взаимодействия служб в решении актуальных вопросов оперативно-служебной деятельности.

Под рубрикой «Воспоминания бывшего сотрудника журнала «Советская милиция» в номере печатается статья заслуженного работника культуры РСФСР полковника в отставке М. Семенова «Мои встречи с маршалом Жуковым».

# მილიციის ძალა — ხალხთან კავშირშია

ამ დღეებში ჩატარდა სიღნაღის შინაგან საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელობის შეხვედრა რაიონის მშრომელებთან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლი, შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილების ხელმძღვანელობასთან ერთად აწყობს „საბჭოთა მილიციის დღეებს". ასეთი შეხვედრები უკვე ტრადიციული გახდა. მილიციის მუშაკები შეხვდნენ ქ. თბილისის კალინინის რაიონის, გორის, ცხინვალის და კასპის მშრომელებს.

და აი, ახალი შეხვედრა, რომელზეც გულახდილად და დაუფარავად იმსჯელეს რაიონში ოპერატიული მდგომარეობის გაუმჯობესების, ნარკომანიის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში მშრომელთა როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

შეხვედრა გახსნა სიღნაღის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანმა მ. ჯალიაშვილმა.

მშრომელების წინაშე მოხსენებით „რაიონში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა, რაიგანყოფილების თანამშრომლების და საზოგადოებრიობის როლი და ამოცანები მისი შემდგომი გაძლიერების საქმეში" გამოვიდა სიღნაღის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ხ. მჭედლიშვილი.

მოხსენების შემდეგ განყოფილების უფროსმა და სამსახურის ხელმძღვანელებმა პასუხი გასცეს მშრომელთა შეკითხვებს. გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობაზე.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ კომპარტიის სიღნაღის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ მ. ასანიშვილმა.

შეხვედრის ბოლოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა „სადღეისოს" მონაწილეობით ჩატარდა სატირის და იუმორის საღამო.

ა. არამაძე,
საქართველოს სსრ შს სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის უფროსი ინსტრუქტორი.

# ...მხოლოდ ერთეულები არ არიან

თუ რა კომპანიაა გაშლილი მთელს ჩვენს ქვეყანაში ალკოჰოლიზმისა და ლოთობის, სპირტიანი სასმელებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ საბრძოლველად კომენტარს აღარ საჭიროებს. ამ მხრივ გარკვეულ წინსვლას, დადებით შედეგებს უკვე ვხვდებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება კვლავ მიმდინარეობს, რადგან ჯერ კიდევ არიან ისეთები, ვინც არაფრად აგდებს საზოგადოების აზრს, ვერ ეპუება იოლი გზით გამდიდრების სურვილს.

„გაზ-24" „ვოლგა" ერთობ პრესტიჟული და ძვირადღირებული ავტომანქანაა საბჭოთა კავშირში. ისიც ცნობილია, რომ ამ ავტომანქანებზე განსაკუთრებული მოთხოვნაა და ის ვინც (აკადემიკოსი, კოლმეურნე, მძღოლი თუ მუშა). თავის პატიოსანი შრომით, მოღვაწეობით მოისურვებს იყოლიოს იგი ყველას უკლებლივ აქვს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ამ კატეგორიის ხალხი თავის კუთვნილ „ვოლგებს" სასპეკულაციო საქონლის გადასაზიდად არ იყენებს, აი ზესტაფონის „აგრომრეწვტრანსის" მძღოლმა ბ. მ. აბესაძემ კი 1987 წლის 19 ნოემბერს საკუთარი, „გაზ-24" 150 ლიტრი „ხითხით" გატენა და ღმერთმა უწყის სად უპირებდა „დაჭყევას", ზესტაფონის შს რაიგანყოფილების სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების თანამშრომლებს, რომ არ შეეჩერებინათ. „ხითხი", როგორც შემდეგ გაირკვა, საკონიაკე მასალა აღმოჩნდა. ოპერატიული ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ზესტაფონის შს რაიგანყოფილების სოც. საკუთრების სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ა. კოკოიაშვილმა, ლეიტენანტებმა: რ. მაცაბერიძემ, დ. მაღლაფერიძემ, ნ. წერეთელმა და უმცროსმა ლეიტენანტმა ს. არაბიძემ. მ. აბესაძეს ამდენივე რაოდენობის საკონიაკე მასალა სახლშიც, ქვევრში ჩასხმული აღმოაჩნდა. იგი ბინაში ინახავდა აგრეთვე 11 ტონამდე სადვინე მასალას, რომელიც დაუტაცია „სამტრესტის" ღვინის ქარხნებიდან, აგარის, ქუთაისის და ცხაკაიას საკონსერვო ქარხნებში ყურძნის ტკბილის ტრანსპორტირების დროს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — აქ ჩვენ ერთეული შემთხვევა მოვიყვანეთ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი მაგალითები კვლავ გვხვდება და შს ორგანოების თანამშრომლებს გაორმაგებული შრომა სჭირდებათ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ზ. გომართელი
ა. შავიძე
ზესტაფონის შსრაიგანყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.



Вот уже более семи лет успешно трудится в коллективе вычислительного центра МВД ГССР оператор Ирина Ервандовна Арутюнова. Грамотно и высокопрофессионально, осуществляет она операции по вводу, обработке и хранению информации в ЭВМ, за что неоднократно поощрялась руководством министерства и вычислительного центра.

Фото Р. Антонина.

## ХРОНИКА

Приказом министра внутренних дел Грузинской ССР начальник отдела вневедомственной охраны при Орджоникидзевском РОВД г. Тбилиси подполковник милиции Кекелия Генри Давидович назначен на должность начальника учреждения УИТУ МВД Грузинской ССР.

## ТОЛЬКО ФАКТЫ

◆ 2 декабря на территории санатория «Шахтер» в г. Цхалтубо сотрудниками ГОВД на факте азартной игры задержаны Р. Начкебия и А. Панцхава, водители Цхалтубского АТП. Карты и деньги изъяты.

◆ 5 декабря сотрудниками Цаленджихского РОВД задержан Т. Соселия, не работающий с марта с. г., у которого изъято 1 кг. 700 гр. кокнара. Расследование ведет РОВД.

◆ 8 декабря около стадиона «Динамо» сотрудниками УБХСС МВД ГССР и Первомайского РОВД задержан Р. Абжанидзе, который 2 билета стоимостью 5 рублей на футбольный матч «Динамо» (Тбилиси) — «Вердер» (Бремен) перепродавал за 100 рублей. У него же изъято 4 аналогичных билета, предназначенных для перепродажи.

## მადლობის ბარათი

ოთხი შვილის დედა ვარ, გელათის ქუჩაზე ვცხოვრობ ჩემი ოჯახით. მეუღლე მეორე ჯგუფის ინვალიდია, თითქოს ცუდად არ ვცხოვრობდით, მაგრამ მე და ჩემი შვილები სულ შეწუხებული ვიყავით, რომ მეუღლე სვამდა. ამის გამო ხშირად მივმართავდი ლენინის რაიონის მილიციას, აქ განსაკუთრებით გულისხმიერად მოგვექცა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერრწმუნებული დ. შანგირაძე. იგი დიდი ტაქტითა და კულტურით, პროფესიული სინდისით ჩაერია ჩვენი ოჯახის საქმეში და დღეს თუ ასე მოწესრიგდა ჩემი ოჯახის მდგომარეობა, მასთან ერთად ვუმადლი მილიციის მუშაკებს: ვლ. ადეიშვილს, ა. ქელბაქიანს და სხვებს.

ვფიქრობ თუ მილიციის ყველა მუშაკი ასე მოეკიდება თავის საქმეს, ლოთობასთან და სხვა დანაშაულთან ბრძოლის პროფილაქტიკა ნამდვილად ეფექტური იქნება.

ნ. ჯოჯუა
ქუთაისი,
გელათის ქუჩის № 20-ის მცხოვრები

# უხვი „მოსავალი" გულრიფშიდან

გემრიელი ციტრუსით პირის გახვრელება ვის არ უყვარს, მასზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. განსაკუთრებით კი იმ მხარეში, სადაც ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალი ფრიად ეგზოტიკური ხილია... იგზავნება კიდეც ქართული ციტრუსი ყველგან, რის საშუალებასაც იძლევა მოსავალი. ამისთვის არსებობს სპეციალური სავაჭრო ორგანიზაციები. მათ მიერ დაგზავნილ ციტრუსსაც მაღაზიაში სათანადო სახელმწიფო ფასი ადევს, საკმაოდ ხელმისაწვდომი იქაური მცხოვრებთათვის, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი მოთხოვნილება რეალურ შესაძლებლობებზე უფრო მეტია და ამიტომ ხელმრუდეები და გაქნილი სპეკულანტები ამ „ობიექტზეც" პოულობენ სარფიან საქმეს.

ციტრუსების უკანონოდ გატანა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებიდან სასტიკად აკრძალული რომაა, სხვაზე უკეთ სწორედ მათ იციან, მაგრამ სიხარბეს ისინი ყოველგვარ რისკზე მიჰყავთ, ანაზღაურებასაც შესაბამისად ითხოვენ მოტყუებული მყიდველებისაგან. რაც უფრო შორია სავაჭრო რეგიონი და რაც მეტია გატანის რისკი, მით უფრო იწევს ციტრუსის მაზანდა და ხანდახან იგი მართლაც ზღაპრული ეგზოტიკური „უკვდავების ვაშლის" ფასს აღწევს. ალბათ ასეთ ფასებში ჩქონდათ გადაწყვეტილი მათი გაყიდვა ამ პიროვნებებს, რომელთა შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ: (თუმცა, ალბათ ჯერ კიდევ გასარკვევია მათ ეკუთვნოდათ იგი თუ არა. რადგან კარგადაა ცნობილი — ხშირად მძღოლებთან ციტრუსების ნამდვილი გადამყიდველები გარიგებულნი არიან).

11 ნოემბერს, დილის საათებში ზუგდიდის რ-ნის სოფელ რუხის საგუშაგოზე სამტრედიის სატრანსპორტო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლებმა: მილიციის სერჟანტმა ი. სულავამ, უმცროსმა სერჟანტმა ტ. ალფაიძემ, მილიციის კაპიტანმა რ. ჩხაიძემ და უფროსმა ლეიტენანტმა გ. ხასაიამ დააკავეს გულრიფშის რაიონიდან მომავალი ავტომანქანა „ზილი", რომელიც ეკუთვნოდა თურქმენეთის სსრ კრასნოვოცკის ოლქის მომხმარებელთა კავშირს და მართავდა მძღოლი მ. ესენჯანოვი. ავტომანქანის ძარაში აღმოაჩინეს 2200 კგ მანდარინი.

ასევე გულრიფშის რაიონიდან მიემართებოდა კრასნოვოცკში იგივე ორგანიზაციის ავტომანქანა, რომლის მძღოლს გ. მუხამედოვს ჩამოართვეს 1670 კგ მანდარინი.

ავტომანქანა „მოსკვიჩ-412"-ის მფლობელ ე. ოგანესიანსაც გულრიფშიდან მოჰქონდა ერევანში გასაყიდად 230 კგ მანდარინი.

ერთი სიტყვით, სამტრედიელი მილიციის თანამშრომლების წყალობით რამდენიმე ვაჭრუკანას საქმე გაუცუდდა, მაგრამ, სამწუხაროდ მათნაირნი კვლავ ბევრნი არიან, მათ მაქინაციებს ადგილზევე აღკვეთა სჭირდება.

ზემოთჩამოთვლილ ფაქტებთან დაკავშირებით ისმება ერთი კითხვა: სად არიან იმ რაიონების (განსაკუთრებით ეს გულრიფშელებზე ითქმის) მილიციის თანამშრომლები, უბნის ინსპექტორები, სახელმწიფო ავტოინსპექტორები, რომლებსაც მათ თვალწინ სატვირთო ავტომანქანები აკრძალული ტვირთით დაუბრკოლებლად სცდებიან რაიონის ტერიტორიას?!

ვ. ნადირაძე

P.S. ეს წერილი უკვე სტამბაში ჩასაშვებად იყო მზად, როდესაც რედაქციაში ცნობა მოვიდა: 6 დეკემბერს, ღამის 8 საათზე, „რუხის" საგუშაგოზე დააკავეს ორი ავტომანქანა „ვაზ-2106", რომლებსაც მართავდნენ გულრიფშის რ-ის სოფელ შაუმიანის მცხოვრები ხ. საკიანი და რ. კარმეციანი, ასევე გულრიფშის რ-ის სოფ. ბაგაჟმშტას მკვიდრი. მათ შესაბამისად ჩამოერთვათ 550 და 600 კგ. მანდარინი. ჩამორთმეული ციტრუსები ჩაბარდა ზუგდიდის დამამზადებელ კანტორას...

ვერაფერს იტყვი, ჭეშმარიტად უხვი „გულრიფშული მოსავალი", აქვთ სამტრედიელ მილიციელებს!

## ПЕРЕСТРОЙКА: ПОИСКИ И РЕШЕНИЯ

# КОНЦЕНТРИРУЯ УСИЛИЯ

Улучшение условий труда и быта, ввод в строй новых служебно-бытовых объектов играет большую роль в совершенствовании оперативно-служебной деятельности органов и подразделений внутренних дел республики. Важную работу по созданию и обновлению основных фондов, укреплению материально-технической базы МВД ГССР ведет в системе министерства отдел капитального строительства.

В настоящее время коллектив отдела активно перестраивает сложившуюся годами систему строительно-монтажных работ. Дело в том, что отдел, являясь самостоятельным структурным подразделением, финансирует, руководит и контролирует все строительные работы, которых по министерству ежегодно выполняется на 8 миллионов рублей. Однако из этой суммы только половина осваивается собственными силами, остальное — подрядными организациями, такими, как Минстрой республики, Закттрансстрой и другими, которые привлекаются для строительства наиболее крупных объектов. При этом подрядные организации зачастую ведут работы, по разным причинам, крайне медленно, срывая порой намеченные сроки ввода в строй объектов, в результате чего план XI пятилетки по ОКС был выполнен только на 85 процентов.

«Создавшееся положение требовало внедрения новых форм и методов работы. Так в прошлом году было принято решение объединить СМУ и РСУ министерства в единую строительно-монтажную организацию, что сократило управленческий аппарат, создало предпосылки для улучшения организации и контроля за строительными работами, — рассказывает начальник ОКС МВД ГССР подполковник внутренней службы Н. Мосиашвили, — началось также строительство мощной индустриальной базы в Гачиани. До конца нынешнего года здесь вступят в строй завод железобетонных изделий, деревообрабатывающий цех и цех для производства металлических конструкций, ведутся активные работы по строительству арматурного цеха, ремонтных мастерских, крупной автобазы. Ввод в строй этих объектов, оснащаемых самым современным отечественным оборудованием, позволит сконцентрировать усилия по капитальному строительству, значительно повысить его качество».

В настоящее время под контролем ОКСа заканчивается строительство ряда важных объектов министерства. Среди них — новое административное здание МВД ГССР в столице республики, первая очередь которого вступает в строй в конце года. В здании помимо просторных служебных помещений имеются архив, библиотека, парикмахерская, столовая на 150 посадочных мест, два магазина, зал коллегии и конференц-зал на 450 человек, АТС на тысячу номеров, спортзал и многое другое, необходимое для нормальной работы служб министерства. В ближайшем будущем завершится строительство 6-этажного корпуса в Диди Дигоми, где разместятся УГАИ и УВО министерства, новых зданий РОВД в Чохатаури и Кобулети, реконструкция УВД города Кутаиси. В настоящее время сдано в эксплуатацию новое здание Мцхетского РОВД, построенное по индивидуальному проекту, ведутся работы по совершенствованию условий труда и соцкультбыта в учреждениях УИТУ МВД ГССР.

«Намечено также строительство и реконструкция зданий Амбролаурского и Богдановского РОВД, дальнейшее совершенствование материально-технической базы СМУ министерства, — делится планами на будущее Н. Мосиашвили, — подготовлен проект нового санатория в Боржоми, в котором предусмотрено создание многочисленных процедурных кабинетов, бассейна, кинозала и других удобств для отдыхающих. В целом строительных работ до конца пятилетки предстоит осуществить на сумму в 40 млн. рублей».

А. ЦАТУРОВ.

НА СНИМКАХ: новое здание Мцхетского РОВД; макет будущего санатория в Боржоми.





# КОГДА НАКАЗАНИЕ ЗАПАЗДЫВАЕТ

**Умышленные убийства и покушения на них — наиболее тяжкие преступления против жизни и здоровья граждан. Эффективность борьбы с убийствами требует не только того, чтобы виновные были обнаружены, но и чтобы совершенные преступления получили правильную юридическую квалификацию, а совершившие их понесли заслуженное наказание.**

За 9 месяцев в г. Тбилиси по сравнению с аналогичным периодом прошлого года умышленные убийства возросли почти в два раза. Причем особую озабоченность вызывает то обстоятельство, что некоторые из них до сих пор остаются нераскрытыми. В этом отношении явно не справились со своими обязанностями административные органы Ленинского, Орджоникидзевского и Глданского районов.

Изучение места и мотивов совершения убийств свидетельствует, что увеличение произошло в первую очередь за счет преступлений, как правило, связанных со злоупотреблением спиртными напитками лицами, ранее судимыми и не работающими. Это говорит о том, что административными органами все еще не обращено внимание на эти обстоятельства при организации профилактической работы по месту жительства граждан.

Анализ работы по предупреждению, раскрытию и расследованию умышленных убийств показывает, что во многих районах города органы прокуратуры и внутренних дел не сумели провести совместные профилактические мероприятия, не достигли тесных контактов с общественными организациями. Неудовлетворительно также ведется работа по раскрытию преступлений прошлых лет. Не изжиты нарушения законности при проведении следственных и оперативно-розыскных работ. Допускается упрощенческий подход к сбору и оценке доказательств, не используются в полной мере возможности экспертных ограждений.

Проверкой и анализом уголовных дел, возбужденных по фактам совершенных убийств, установлено, что причины этих преступлений кроются в отсутствии перестройки в организации работы органов прокуратуры на местах, а также аппарата уголовного розыска УВД Тбилгорисполкома, райотделов милиции. Руководители районных отделов внутренних дел нередко самоустраняются от непосредственного участия в раскрытии и расследовании убийств, не обеспечивают интенсивную, целенаправленную работу по установлению преступников. В их работе не заметны согласованные действия, направленные на своевременное предупреждение убийств, совершенных на почве пьянства, антиобщественного поведения в быту лицами, ведущими паразитический образ жизни и ранее судимыми.

На протяжении нескольких лет между супругами Гулдашвили были неприязненные отношения. Оба вели паразитический образ жизни. За продажу спиртных напитков нарсудом района им. 26 комиссаров в свое время супруги были осуждены. За последний период между супругами Гулдашвили еще более обострились отношения. Несмотря на это, в свое время не было проведено никаких профилактических мероприятий по предотвращению возможных тяжких последствий этого затяжного конфликта. Он кончился тем, что за убийство мужа жена заплатила наемным убийцам 8 тысяч рублей.

8 марта Манашеров с ножевым ранением в области грудной клетки был доставлен в одну из тбилисских больниц, где и скончался. Следствием установлено, что Манашеров был ранен ножом на улице 9 Братьев, д. 15, на квартире Лейлы Какоян неким Борисом Пичхадзе, находившимся в нетрезвом состоянии. Как выяснилось, Пичхадзе находился в интимных отношениях с Какоян и долгое время жил по данному адресу, не имея тбилисской прописки. В семье Какоян часто собирались люди сомнительного поведения, пьянствовали, вели себя вызывающе. Однако все это прошло мимо внимания участкового инспектора милиции.

С учетом необходимости быстрой и кардинальной перестройки работы всех правоохранительных органов города УВД и городским судом разработан совместный комплексный план мероприятий по предупреждению преступности в г. Тбилиси на 1987—1988 гг., где особое место отведено мероприятиям по активизации практической работы в трудовых коллективах и по месту жительства по предупреждению хулиганства, проституции, наркомании, фактов угрозы [illegible]ческой расправы, под[illegible] умышленных убийств и [illegible].

Для совершенствования стиля и методов борьбы с умышленными убийствами, оперативного расследования их, усиления прокурорского надзора отныне все уголовные дела, возбужденные по фактам убийств, будут расследоваться в центральном следственном аппарате прокуратуры города. Здесь созданы постоянные оперативно-следственные группы с участием опытных следователей Тбилисской прокуратуры, которые по зональному принципу проводят и принимают дела в свое производство. Каждый факт совершения преступления в состоянии опьянения, под воздействием наркотических средств, на почве бытовых конфликтов, каждый факт рецидивной преступности рассматривается как чрезвычайное происшествие, обсуждается на оперативном совещании или заседании прокуратуры.

Наши основные организационные мероприятия направлены на усиление предупредительно-профилактической работы на местах, повышение требовательности и персональной ответственности каждого прокурора, следователя, начальника органов внутренних дел, работника уголовного розыска и участкового инспектора милиции по обеспечению соблюдения законности при производстве оперативно-розыскной и следственной деятельности. Профессиональное мастерство следователей и оперативных работников, реальная поддержка местных партийных, советских органов и общественных организаций, бесспорно, создадут все необходимые условия для быстрейшего раскрытия тяжких преступлений, выявления и предотвращения тех причин, которые способствуют их совершению.

М. КУРДАДЗЕ,
первый заместитель прокурора г. Тбилиси, старший советник юстиции.

(Печатается с сокращениями).

## ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ჩვენი გაზეთის 24 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა მასალა — „საქმიან ვითარებაში", სადაც გაანალიზებული იყო საქართველოს სსრ შს სამინისტროს სისტემაში დამთავრებული წლევანდელი კომკავშირული ანგარიშგება-არჩევნები. სხვა კრიტიკულ შენიშვნებთან ერთად პუბლიკაციაში აღინიშნა სიღნაღის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილის, მილიციის მაიორ გ. ყოჩიაშვილის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კომკავშირული საქმიანობისადმი. ამ დღეებში რედაქციაში სიღნაღიდან მოვიდა წერილი:

გაცნობებთ, რომ სიღნაღის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილის, სკკპ წევრის გ. ყოჩიაშვილის საკითხი განხილული იქნა 1987 წლის 25 ნოემბერს პ/პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, სადაც აღინიშნა, რომ ახალგაზრდობის პრობლემებისადმი დაინტერესება ყველა კომუნისტის საწესდებო მოვალეობაა და ხელმძღვანელი მუშაკების ვალია სისტემატიურად აქცევდნენ ყურადღებას და უწევდნენ დახმარებას კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, ისწრაფოდნენ მთელი შიდაკომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გააქტიურებისათვის. სკკპ წევრ გ. ყოჩიაშვილს პ/კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობის მიუღებლობისათვის, პარტიულმა კრებამ მკაცრად მიუთითა. ამასთან ერთად კრებაზე მკაცრი კრიტიკით აღინიშნა ის ფაქტი, რომ ეს ნაკლი მეტ-ნაკლებად ყველა ხელმძღვანელი მუშაკისათვის არის დამახასიათებელი. კრებაზე მიღებული იქნა ღონისძიებები „კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ" — სკკპ ცკ-ის დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

ხ. მჭედლიშვილი,
სიღნაღის შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.

მ. ჯალიაშვილი,
უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანი.

ჯ. ნარინდოშვილი.
პარტიული ორგანიზაციის მდივანი.



# КУЗНИЦА ЗДОРОВЬЯ

Побывав однажды в санатории МВД ГССР «Кодори», расположенном в живописнейшем уголке нашей республики, рядом со всемирно известным курортом Пицунда, мечтаешь об одном — приехать сюда снова, отдохнуть и укрепить свое здоровье. Об этом же свидетельствуют и записи, сделанные в книге пожеланий и отзывов отдыхающими из Москвы, Тбилиси, Владивостока, Свердловска и других уголков нашей страны. «Выражаем сердечную благодарность всему коллективу санатория за чуткое отношение к отдыхающим, — пишут супруги Чнищевы из Ростова. — Уезжаем отсюда с надеждой приехать сюда еще раз». Калиниченко из Владивостока особо отмечает работу клуба санатория, концерты, экскурсии и другие мероприятия, которые так умело осуществляет культработник С. Устинов.

Много теплых слов высказано в адрес пищеблока, в частности диетсестры Г. Ляпокиной, шефповара Н. Никифоровой, официанток — Н. Акопян, Э. Цулцхия, М. Леонтьевой. Не забыли отдыхающие и медперсонал — врачей А. Павлову и А. Недайводина, Д. Мирцхулава, медсестер: Е. Пасенкову, С. Мазур, Э. Туманишвили, Н. Зинченко, да и всех остальных, которые заботились об их здоровье.

Санаторий «Кодори» — сравнительно молодой среди здравниц для сотрудников органов внутренних дел и членов их семей. Он был основан на базе пансионата «Динамо» всего тринадцать лет назад. За этот период был отстроен первый, а затем и второй жилые корпуса, где разместились благоустроенные палаты для отдыхающих, оснащенный новейшей медицинской аппаратурой лечебный корпус с кабинетами функциональной диагностики, ингаляции и другими. Постоянно преобразуется силами сотрудников и территория санатория. А с какой любовью исполняет свои служебные обязанности садовник санатория Е. Черевиченко. Это благодаря ее заботам так радуют глаз пышные красавицы пальмы, олеандры, магнолии и другие представители субтропической флоры.

Ежемесячно здесь отдыхают и поправляют свое здоровье более двухсот человек. «Работы много,—говорит начальник санатория Н. Эркваиия, — но, учитывая современные требования, наш коллектив, в авангарде которого стоят коммунисты (секретарь партийного бюро А. Титаренко), стремится сделать все возможное, чтобы отдыхающие уезжали от нас с чувством удовлетворения и благодарности. Это явится для коллектива платой за их труд».

**М. ПЕКЕЛИС,**
**майор милиции, старший преподаватель Учебного центра МВД ГССР, член Союза журналистов СССР.**

**НА СНИМКАХ: вид на санаторий «Кодори»; вкусной пищей и улыбкой одаряют отдыхающих работники пищеблока; в ингаляционном кабинете.**









ზაალ მესხიშვილი — რომანი

# მზე ისევ გამოანათებს

— დროა ზუსტად მიამბოთ, მამიკონა ჰიაბრიშვილის მანქანით როგორ დაუდარაჯდით შენ და გელა ჰიაბრიშვილი ქალაქიდან შინ მიმავალ მთავარ აგრონომ ზურაბ ერგემლიძეს. იგი მოტყუებით წაიყვანეთ და გლდანის მიმართულებით მეთორმეტე კილომეტრზე, ორი გასროლით სასიკვდილოდ გაიმეტეთ. ამისათვის 2500 მანეთი მიიღეთ. აქედან მკვლელობის საკომისიო 600 მანეთი მიეცით თქვენს ყოფილ მეგობარს შრომა-გასწორების კოლონიიდან პავლე ანტონის ძე მიხაილუკს

მარკაროვი შეიშმუშნა.

— შეგვიძლიათ გაეცნოთ სამართალში მიცემულთა ჩვენებებსა და აღიარებებს. თქვენს შესახებ ამ მასალებში საკმაოდ ბევრი დოკუმენტალური მასალაა. აქ ოლგა პროხორის ასულ ზელენცევას მკვლელობაზეცაა მოთხრობილი...

მარკაროვი ჯიუტად სდუმდა.

— მაშ არ გინდათ გულახდილი იყოთ გამოძიების წინაშე?

კვლავ დუმილი.

— კეთილი და პატიოსანი. მეგონა გეყოფოდათ გამბედაობა და ყველაფერს გულახდილად იტყოდით და გამოძიებასაც დაეხმარებოდით, რითაც თქვენს მდგომარეობასაც შეიმსუბუქებდით, სამწუხაროა რომ ეს ასე არ მოხდა...

გამომძიებელმა ზარის ღილაკს თითი დააჭირა. მორიგე კარებში აიტუზა.

— შემოიყვანეთ მიხაილუკი.

— არა, არა იმ გველს ნუ დამანახვებთ, დაწერეთ, ჩქარა დაწერეთ ოქმი სანამ არ გადამიფიქრებია. მარკაროვი სულ ერთიანად ცახცახებდა.

გამომძიებელმა პატიმარს წყალი დაუსხა და მიაწოდა. ეს უკანასკნელი მღელვარებისაგან ჰიქას კბილებს ურაკუნებდა. სულ ერთიანად ცახცახებდა, იგი ოდნავ დამშვიდდა, კვლავ წყალი მოსვა, ერთხანს თავჩაქინდრული იჯდა, შემდეგ კი ასევე თავაუღებლად განაგრძო თხრობა...

უკვე კარგა შეღამებული იყო, როცა გამომძიებელმა ოქმის წერა დაამთავრა და მარკაროვს ოქმზე ხელიც მოაწერინა.

ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების მოსაცდელში ფეხზე დასადგომი ადგილი არ იყო. თითქმის ბერმუხის საბჭოთა მეურნეობის ყველა თანამშრომელი აქ მოსულიყო, ნაწილი საავადმყოფოს ეზოში იცდიდა. დღეს ზურაბს ოპერაციას თვითონ პროფესორი ლუარსაბ ათონელი უკეთებდა. ყველანი ღელავდნენ.

ზურაბის დედას, რომელიც იქვე სავარძელში მიმჯდარიყო მკერდში ლალი ჩაეკრა და თითქმის ერთი საათია ასე იჯდნენ გასუსულები.

საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ოთარ ტრაპაიძეც აქ იყო. მას პაპიროსი ხელში დაეკავებინა, მაგრამ ასანთით ცეცხლის მოკიდება ვერ გადაეწყვიტა. პაპიროსის ბოლით ვინმე არ შევაწუხოო. ღელავდა ტრაპაიძე, ასაღელვებელი როგორ არ ჰქონდა, ჯერ იყო და სულ ცოტა ხანში საბჭოთა მეურნეობაში მოვლენები როგორ სწრაფად წარიმართა. დამნაშავეთა მთელი ჯგუფი გამოვლინდა და როგორც იქნა მეურნეობაში თანდათან დგება წესრიგში ყველაფერი, მხოლოდ ზურაბის ბედი აწუხებს ტრაპაიძეს, გადაიტანს თუ არა იგი ოპერაციას?

ამ ფიქრში იყო ოთარ ტრაპაიძე, როდესაც საოპერაციო ოთახის კარი გაიღო და იქიდან პროფესორი ლუარსაბ ათონელი თავისი ასისტენტებით გამოვიდა.

სულგანაბული ყველანი პროფესორს მიაჩერდნენ. პროფესორის პირქუშ სახეზე ვერაფერს ვერ ამოიკითხავდა კაცი. გაფანჩული წარბები შეეკრა და მოსაცდელ დარბაზში შეკრებილთ კუშტად ათვალიერებდა.

პროფესორმა ხალათის ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, დახედა, ერთ წამს პროფესორის სახეზე რაღაც ნათელმა სხივმა გაირბინა. იგი რამდენიმე ხანს ასე დასცქეროდა ქაღალდს შემდეგ დაღლილი ხმით თქვა:

— ლალი ვარდოსანიძე რომელია აქ?

შემკრთალმა, გახევებულმა ლალიმ ორიოდე ნაბიჯი ძლივს წამოდგა წინ.

მოდი შვილო, აქ ნუ გეშინია — თბილად მიმართა პროფესორმა ცალიშვილს და ლალისთან თვითონ მივიდა. თავზე ხელი გადაუსვა და მისთვის შეუფერებელი ტკბილი ხმით მიმართა

— ეს ფურცელი ოპერაციის წინ ზურაბმა გადმომცა და მთხოვა, თუ ოპერაცია კარგად დამთავრდებოდა, მხოლოდ მაშინ გადმომეცა შენთვის. ვასრულებ მის თხოვნას.

ლალიმ აკანკალებული ხელით გამოართვა ქაღალდი პროფესორს და გაშალა.

ქაღალდზე ზურაბს დაეხატა ახალგაზრდა, ნაწნავებიანი გოგონა, რომელსაც სახე ამომავალი მზის სხივებისაგან გაცისკროვნებოდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. 12-23.

# ВНИМАНИЕ—КОНКУРС!

**Министерство внутренних дел Грузинской ССР объявляет ежегодный конкурс городских, районных и многотиражных газет на лучшее освещение вопросов укрепления правопорядка и деятельности органов внутренних дел.**

**ЗАДАЧИ КОНКУРСА. Полное и всестороннее освещение деятельности органов внутренних дел и общественных организаций по укреплению законности и правопорядка, формированию правовой сознательности граждан, работы милиции в трудовых коллективах и по месту жительства, показ опыта лучших сотрудников по выполнению постановлений партии и правительства в деле усиления борьбы с пьянством и алкоголизмом, нетрудовыми доходами наркоманией и др. Регулярный выпуск по этим проблемам тематических полос, подборок, публикаций отдельных статей и корреспонденций.**

**Введение рубрик, всесторонне отражающих жизнь и деятельность сотрудников милиции, их готовность к защите интересов государства и граждан от преступных посягательств, работу, связанную с повышением профессионального мастерства, физической подготовки, искоренением причин правонарушений. Пропаганда истории милиции своего города, района, ее традиций, показ семейных династий, их преемственности.**

**Содействие в увековечении памяти сотрудников, погибших при исполнении служебного долга.**

**Привлечение внимания общественности к проблемам охраны правопорядка и борьбы с преступностью, показ работы общественных пунктов охраны порядка, отдельных общественников по искоренению правонарушений. Организация шефских встреч работников милиции и редакций газет, проведение взаимных консультаций для определения наиболее актуальных проблем с целью освещения их в печати.**

**В конкурсе принимают участие редакции городских, районных и многотиражных газет, отдельные журналисты, корреспонденты, пишущие на правоохранительную тему.**

**ОРГАНИЗАЦИЯ И ПРОВЕДЕНИЕ КОНКУРСА. Конкурс проводится ежегодно с января по октябрь. Для проведения конкурса на местах создаются комиссии из числа руководителей горрайорганов, представителей органов печати и местных организаций Союза журналистов.**

**Материалы на конкурс представляются комиссиями в пресс-группу политического отдела МВД Грузинской ССР не позднее октября и включают в себя соответствующие представления с указанием произведений, краткой аннотацией, сведения об авторах, работы которых выдвинуты для участия в конкурсе, а также сами произведения.**

**Победителями конкурса будут признаны коллективы редакций, отдельные авторы, которые систематически и целенаправленно показывают работу милиции, способствуют повышению ее авторитета, как органа государственной власти, регулярно информируют общественность о состоянии правопорядка, мобилизуют трудящихся на выявление и устранение причин и условий, порождающих правонарушения, ярко и доходчиво разъясняют советское законодательство.**

**Решение об итогах конкурса будет приниматься специальной комиссией МВД ГССР ежегодно ко Дню советской милиции — 10 ноября.**

**Для победителей конкурса будут учреждены почетные дипломы.**

**ПРЕСС-ГРУППА ПОЛИТИЧЕСКОГО ОТДЕЛА МВД ГРУЗИНСКОЙ ССР.**

სპორტი ⚽⚽⚽ СПОРТ

# პირველი ტაიმი და... დამსხვრეული იმედები

თბილისის დინამოელებმა სეზონის ბოლო მატჩი ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გამართეს, სადაც 80.000 გულშემატკივარი და ისინი, ვინც ტელევიზორებს მიუსხდა მოუთმენლად ელოდა ჩვენი ფეხბურთელების განმეორებით მერვედფინალურ მატჩს ბრემენის „ვერდერთან". უეფას თასის გათამაშების პირველი შეხვედრა „დინამომ" მინიმალური ანგარიშით წააგო და თანაც მოწინააღმდეგის მოედანზე გოლიც გაიტანა, რამაც გარკვეული იმედები ჩაგვისახა.

და აი, მოედანზე შვეციის მსაჯთა ბრიგადას გამოყავს მოასპარეზე გუნდები. მასპინძლებმა შესაშური მონდომებით ჩაატარეს პირველი ტაიმი. თბილისელების დიდი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა 31-ე წუთზე გოლით დაგვირგვინდა — სულაქველიძემ მეტოქეთა საჯარიმო ხაზთან დაასწრო დამცველს და ბურთი მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო. ამის შემდეგ ორი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა ქეცბაიამ, გურულმა კი ძელს მოახვედრა ბურთი. „ვერდერის" ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში ორჯერ სახიფათო თავური დარტყმების შემდეგ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ თამაშის ამ კომპონენტში აშკარად გვჯობნიდნენ, რასაც თამაშის მეორე ნახევარში უკვე სათამაშო უპირატესობაც დაემატა და გაბელიას კართან შეჯგუფებული დინამოელების მორიგი შეცდომის შემდეგ შააფის თავურმა დარტყმამ ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრის ბოლო წუთებში დინამოელები გააქტიურდნენ, შენგელიას გოლის გატანაც შეეძლო მაგრამ... მეოთხედფინალში „ვერდერი" გავიდა.

ბ. თათეიშვილი.

ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

## ПЬЯНКА С КОНФИСКАЦИЕЙ

**В середине лета в Швеции были введены новые правила, предусматривающие более суровое наказание для нетрезвых водителей. Ныне с подвыпившего шофера берут не только штраф, но отбирают у него права... и на время конфискуют машину. Первый автомобиль у пьяного водителя отняли 4 июля. Теперь конфисковано более семи сотен автомобилей.:.**

## ТЮРЬМА НАПРОКАТ

**Как известно, на острове Святой Елены провел свои последние годы Наполеон. Но, оказывается, еще и сегодня британское правительство использует этот остров в качестве места заключения граждан других государств. Недавно здесь по просьбе правительства Кувейта отбывали срок заключения трое подданных этой страны, испытывающей трудности с тюремными помещениями.**

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
რედაქტორი ა. კოზალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 15417